

ერაზმუს+ის პროგრამის სტიპენდია დოქტორანტურის სტუდენტებისთვის Paris 8 უნივერსიტეტში (საფრანგეთი)

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ის პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად [Paris 8 უნივერსიტეტში](#).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ GIPA-ს დოქტორანტურის სტუდენტებს

კონკურსის შედეგად შეირჩევა 1 სტუდენტი.

ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

- იმ სტუდენტებს, რომლებსაც ერიცხებათ ფინანსური დაფინანსება უნივერსიტეტის მიმართ;
- იმ სტუდენტებს, ვის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური სახდელი და დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან არ არის გასული 1 (ერთი) წელი, ან დისციპლინური სახდელი არ არის ვადაზე ადრე მოხსნილი.
- იმ სტუდენტებს, რომლებსაც ანალოგიურ საფეხურზე სწავლის პერიოდში უკვე მიღებული აქვთ ERASMUS + - ის გრანტი;

ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- პასპორტის ასლი;
- შევსებული სააპლიკაციო ფორმა ([დანართი1](#))-ის შესაბამისად);
- უცხო ენის (ინგლისური ან ესპანური) ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ენის საერთაშორისო სერთიფიკატი ან GIPA-ს ენის ინსტიტუციური ტესტირების შედეგი/ცნობა);
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი;
- მაგისტრის დიპლომის დანართი/ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე)
- ცნობა PhD სტუდენტის სტატუსის შესახებ (სემესტრის მითითებით, ინგლისურ ენაზე);
- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა);
- სასწავლო ხელშეკრულება (ამ ეტაპზე, შეავსეთ მხოლოდ „[Research project description](#)“);

PhD სასწავლო მიმართულებების და სკოლების ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია ამ მბულზე:

<https://www.univ-paris8.fr/en/?hosting-international-researchers-and-doctoral-students>

საკონკურსო კომისიის მიერ ERASMUS + - ის გაცვლითი პროგრამის კონკურსში სტუდენტების შერჩევის დროს მხედველობაში მიიღება:

- სტუდენტის აკადემიური მოსწრება;
- უფიქსირდება, თუ არა სტუდენტს არაღამაკმაყოფილებელი (F) შეფასება;
- სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე;
- უფიქსირდება, თუ არა სტუდენტს მისი კანდიდატურის განხილვამდე უნივერსიტეტში ანალოგიურ საფეხურზე სწავლის პერიოდში გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, მათ შორის ERASMUS + - ის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა;
- სტუდენტის მოტივაცია, რომელსაც საკონკურსო კომისია ამოწმებს კანდიდატთან გასაუბრების დროს;

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს, რომლებიც ინგლისურ ენასთან ერთად ასევე ფლობენ ფრანგულ ენას (საბაზო დონეზე).

სტიპენდიის ხანგრძლივობა:

ერთი სემესტრი (2023 წლის შემოდგომის სემესტრი: ოქტომბერი - დეკემბერი)

სტიპენდია მოიცავს:

ყოველთვიური სტიპენდია **850 ევროს ოდენობით** + ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის დაფინანსება - **530 ევროს ოდენობით**

შერჩეულმა სტიპენდიანტებმა თავად უნდა აანაზღაურონ სავიზო მოსაკრებლისა და ყოველთვიური საერთაშორისო დაზღვევის ხარჯები!

დაინტერესებულმა სტუდენტებმა ა/წ 6 მარტის 19:00 საათამდე უნდა გამოაგზავნონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი შემდეგ ელ-ფოსტაზე: n.bakradze@gipa.ge

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის საშუალებით: n.bakradze@gipa.ge ან მითითებულ ნომერზე: 577 57 75 11

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!